პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— მარტი 2026 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, ფარნავაზ მეფის I ჩიხისთვის და მასთან მდებარე უსახელო მონაკვეთისთვის ფარნავაზ მეფის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, ფარნავაზ მეფის I ჩიხს და მასთნ მდებარე უსახელო მონაკვეთს მიენიჭოს ფარნავაზ მეფის I გასასვლელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

X=479822 Y=4611916
1:1,250
ფარნავაზ მეფის I გას.
X=479634 Y=4611746
ოთხლიანი კოჯრების

19/032604323-03.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს,

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ ლევან აბაშიძეს

მოქ. აკაკი ნინიკაშვილის პ[redacted]

მცხ: ქ. თბილისი, მთაწმინდის რ/ნი, სოფ. ტაბახმელა,

[redacted]

ტელ: [redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ვცხოვრობ სოფ. ტაბახმელა ფარნავაზ მეფის პირველი ჩიხი (ს/კოდი 81.02.08.531). გეოგრაფიული ობიექტი ქალაქგეგმარებით წარმოადგენს გამავალ ქუჩას (ფარნავაზ მეფის ქუჩიდან თბილისი-კოჯრის მე-7 ჩიხამდე).

გთხოვთ შეუცვალოთ ჩიხს სახელი და სტატუსი და მიანიჭოთ გამოჩენილი ქართველი მხატვრის, გრაფიკოსის და თეატრალური მხატვრის ელენე ახვლედიანის სახელი.

პატივისცემით

აკაკი ნინიკაშვილი.

12.02.2026

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032606318**
თარიღი: **04/03/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი აკაკი ნინიკაშვილის 2026 წლის 12 თებერვლის საქმე #19/032604323-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია ტაბახმელაში არსებული ფარნავაზ მეფის I ჩიხისთვის ქუჩის სტატუსის მინიჭება (ს.კ. 81.02.08.531).
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ფარნავაზ მეფის I ჩიხის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში ფარნავაზ მეფის ქუჩა) დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01260642463**
თარიღი: **05/03/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 04.03.2026 წლის # 03-032606318 (04.03.2026წ. #14-01260632553-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი